განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2018 წლის 25 ივლისი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი:	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ბიზნესის ადმინისტრირება**
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებული კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ტატიანა ვოლკოვა ბიზნესის ადმინისტრირება, ბიზნესის და ფინანსების სკოლა, ლატვია
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გოჩა თუთბერიძე ევროპული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სალომე მელაძე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

1. ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა ხორციელდება 2009 წლიდან. პროგრამა აკრედიტებულია 9/30/2011წ. (აკრედიტაციის გადაწყვეტილება #83). პროგრამის მსვლელობის პროცესში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები პროგრამის შინაარსთან და მიღების პირობებთან დაკავშირებით. ამჟამად, პროგრამაზე 9 აქტიური სტუდენტია და 14 აკადემიური პერსონალი მონაწილეობს პროგრამის განხორციელებაში.

2. აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2018 წლის 26 ივლისს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა პროფ. ტატიანა ვოლკოვა, ჯგუფის წევრები იყვნენ: გოჩა თუთბერიძე და სალომე მელაძე ვიზიტისას ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების გუნდს, პროგრამის ხელმღვანელებს, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და მოაწყო ტური უნივერსიტეტში, მოინახულა ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახები და ოფისები.

3. საგანმანათლებლოუნივერსიტეტში, დარტებთან შესაბამისობის მოკლე აგანმანათ

1. **მეტწილად** შესაბამისობაშია პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან;
2. **მეტწილად** შესაბამისობაშია მეორე სტანდარტის მოთხოვნებთან;
3. **შესაბამისობაშია** მესამე სტანდარტის მოთხოვნებთან;
4. **შესაბამისობაშია** მეოთხე სტანდარტის მოთხოვნებთან;
5. **მეტწილად** შესაბამისობაშია პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან;

3. რეკომენდაციები

1. დაწესებულებამ ნათლად უნდა განსაზღვროს საერთო ჯამში პროგრამის დანიშნულება. პროგრამის მიზანი უნდა იყოს მაღალკვალიფიციური მკვლევარის მომზადება (და არა მხოლოდ პროფესიონალის) მენეჯმენტის მეცნიერებაში.
2. უზრუნველყოს მიზნის უკეთ დაკავშირება უნივერსიტეტის მისიასთან და ინტერნაციონალიზაციის ასპექტების უზრუნველყოფა პროგრამის მიზანში.
3. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დასაქმების ბაზარის შესახებ კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციის თანამიმდევრულობა;
4. უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის შედეგების შესაბამისობა აკადემიური სადოქტორო პროგრამის მიზანთან;
5. შემცირდეს სწავლის შედეგების რაოდენობა როგორც პროგრამის, ისე კურსების დონეზე;
6. შემუშავდეს სწავლის შედეგები სადოქტორო ნაშრომისათვის;
7. პროგრამის განვითარებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის შედეგების შეფასების ციკლის ეფექტიანობა და ეფექტურობა და სტუდენტთათვის გამოხმაურების მიწოდება მათი სწავლის მიღწევების შესახებ;

8. სასწავლო პროგრამას უნდა დაემატოს 6-კრედიტიანი აკადემიური კურსი იმისათვის, რომ საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების რაოდენობა დაემთხვეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ უმაღლესი განათლების მესამე ციკლისათვის დადგენილ კრედიტების რაოდენობას;
9. იმისათვის, რომ პროგრამა გახდეს თანამიმდევრული და ლოგიკური, პირველ სემესტრში

   კურსი „კვლევის მეთოდოლოგია“ უნდა იქნეს შეთავაზებული „სადოქტორო სემინარი 1“-ის წინაპირობად.
10. უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიერ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან;
11. კურსების „დროითი მწკრივების მონაცემების ანალიზი EViews-ში“, „ხარისხობრივი მონაცემების ანალიზი Nvivo პროგრამით“, „პანელური მონაცემების ანალიზი EViews-ში“ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა უნდა იქნეს განახლებული;
12. უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური პერსონალის ტრენინგი რეგულარულ საფუძველზე პროგრამის სწავლის შედეგებსა და მათ მიღწევაში, საკითხების გაზომვა/შეფასებაში.
13. შიდა ხარსიხი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს უფრო სისტემურ და სისტემატურ დონეზე, რადგან მასში დევს ექსპერტული ცოდნა, მაგრამ პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებაში დახმარებისათვის იგი საჭიროებს რომ იყოს გაზიარებული უკეთ სტრუქტურირებული გზით.
14. უზრუნველყოფილ იქნეს ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგი უმაღლეს განათლებაში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე კონცეფციებთან დაკავშირებულ საკითხებზე, რათა შესაძლებელი გახდეს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესება და მისი შედეგების მონიტორინგი;
15. პროგრამის შემდგომი ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფა, რითაც მოხდება კულტურათაშორის გარემოში ფუნქციონირების უნარის დემონსტრირება;
16. შემუშავდეს პროგრამის განვიტარების მიზნები და სათანადო სამოქმედო გეგმა, რათა შეფასება და მონიტორინგი გახდეს უფრო ეფექტური.

4. რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. განიმარტოს პროგრამის მიზანი - მოამზადოს მკვლევარები ნაცვლად "ინოვაციური კვლევების განხორციელების უნარის მქონე პროფესიონალებისა".
2. პროგრამის მიზანი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ილიაუნის ვებ-საიტის ინგლისურ ვერსიაშიც.
3. შემოტანილ იქნეს კურსი თანამედროვე მართვის კვლევაში;
4. განხორციელდეს სადისერტაციო ნაშრომის სწავლის შედეგების ფორმულირება (120 კრედიტი) და მოხდეს მისი განმარტების უზრუნველყოფა შეფასების სხვადასხვა ეტაპზე;

5. თანახელმძღვანელობის განსაზღვრა იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იქნას კომპეტენციების დივერსიფიკაცია ხელმძღვანელებისა კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
6. დაინიშნოს პროგრამაზე სრული პასუხისმგებლობის მქონე პირი;
7. მოწვეულ და დანიშნულ იქნენ მეტი შემფასებლები იმისათვის რომ უზრუნველყოფილ იქნას სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცესი;
8. სტუდენტი - წარმომადგენლის ჩართვა თვითშეფასების ჯგუფში;
9. უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის განვითარების გეგმის შემუშავება მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნის გარშემო, დამყარებული SMART მიდგომაზე, რათა შემდგომში შესაძლებელი გახდეს პროგრესის გაზომვა;
10. სადოქტორო პროგრამების სადოქტორო სკოლის გარშემო ორგანიზების შესაძლებლობა განხილულ უნდა იქნეს პასუხისმგებელი პერსონალის მიერ;
11. უზრუნველყოფილ იქნას გარე წარმომადგენლების ჩართვა (ასევე მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლების) თვითშეფასების ჯგუფის წევრებად;
12. სასურველია პროგრამის შეფასების პროცესში საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა;
13. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა განხორციელდეს ბიზნესისა და მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე;
14. პროგრამის შეფასებისა და ხარისხის მონიტორინგისათვის განხილულ იქნეს სამიზნე ნიშნულების გამოყენება მენეჯმენტის ინსტრუმენტად.

5. საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

6. განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2011 წლის აკრედიტაციის შემდეგ შეიცვალა და დაემატა პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სხვა მიმართულებებში სამაგისტრო ან ეკვივალენტური ხარისხის შემთხვევაში პრეტენდენტის 7-წლიანი სამენეჯერო გამოცდილების ან GMAT-ის მოთხოვნა (მინიმუმ 550 ქულით);

მრჩეველთა საბჭო დაკომპლექტებულია ბიზნესის სკოლაში მოქმედი თანამედროვე ბიზნესის გარემოს კვალიფიციური და მოწინავე ექსპერტებით, რომელთაც შეიმუშავეს რეკომენდაციები საგანმანათლებლო კომპონენტებზე, მოდულებზე, შედეგებზე და ამ რეკომენდაციების შესრულება ჩაითვალა მიზანშეწონილად.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზანი, როგორც ეს აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში არის "... მოამზადოს **პროფესიონალთა ახალი თაობა,** რომლებსაც ექნებათ ბიზნესის ადმინისტრირების ორიგინალურ, ინოვაციურ, ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებზე (მათ შორის კომერციულ) დაფუძნებული თანამედროვე, მოწინავე მეთოდოლოგიების დანერგვის უნარი, იმ მიზნით, რომ შექმნას და ჩაერთოს სასწავლო პროცესში კვლევისა და სწავლების ეფექტური ინტერნეტი," (იხილე თვითშეფასების ანგარიში, გვ. 16). თვითშეფასების ანგარიშში და პროგრამის დოკუმენტაციაში <u>წარმოდგენილია პროგრამის მიზნების განსხვავებული ვერსიები.</u> მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში პროგრამის მიზანი წარმოდგენილია შემდეგნაირად: "... პროგრამა მიზნად ისახავს პროფესიონალების ახალი თაობის მომზადებას, რომლებიც შეძლებენ წამოიწყონ და ჩაატარონ თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების საფუძველზე ორიგინალური, ინოვაციური კვლევები ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციურ სფეროში (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, რათა მოხდეს ეფექტურად და ეფექტიანად ინტეგრირება სწავლებისა და სწავლის პროცესსა და შედეგების შემუშავებაში" (იხილე გვ.1).

მიზანი უნდა გადაიხედოს, რადგან მენეჯმენტი, როგორც მეცნიერება, არ წარმოადგენს "ბიზნესის ადმინისტრირების" ფუნქციურ სფეროს. მენეჯმენტის მეცნიერება მოიცავს ფინანსების, მარკეტინგის, ლოჯისტიკის, ინოვაციების, ადამიანური რესურსების და ა.შ. კვლევას/შესწავლას და მათ მენეჯმენტს. იგი მოიცავს ორგანიზაციების ყველა სამენეჯმენტო ფუნქციას. ამგვარად, მენეჯმენტი არ წარმოადგენს ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციურ სფეროს. გარდა ამისა, ბიზნესის ადმინისტრირება საკმაოდ მოძველებული მიდგომაა ბიზნესის მენეჯმენტისადმი. პროგრამის მიზანი უნდა გაფართოვდეს ფინანსების, მარკეტინგის შესწავლის ფარგლებს გარეთ, მკაფიო მითითებით, რომ სადოქტორო პროგრამა მიმართულია მენეჯმენტის შესწავლაზე. ამგვარად, მენეჯმენტის მეცნიერების კვლევის ფარგლებში მრავალფეროვანი თემების შერჩევა შეიძლება სასარგებლო იყოს პროგრამის განვითარებისთვის, რადგან უნივერსიტეტში ახალი კვლევისა და სწავლის მიმართულების გახსნით შესაძლებელი გახდება ახალი მეცნიერების მოზიდვა. უნივერსიტეტში არსებული

კვლევის ტრადიციებზე დაყრდნობით კვლევის ფარგლების შეზღუდვა ხელს უშლის ახალი კვლევის ფარგლების გაფართოვების პოტენციალს.

პროგრამის მიზანი არის ახალი თაობის **პროფესიონალების მომზადება**, რომლებიც "... შეძლებენ წამოიწყონ და ჩაატარონ თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების საფუძველზე ორიგინალური, ინოვაციური **კვლევები** ". EQUAL-ის (ბიზნესისა და მენეჯმენტის სწავლების სფეროს ხარისხისა და აკრედიტაციის სააგენტოების საერთაშორისო ასოციაცია) სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესის და მენეჯმენტის დოქტორანტურაში, მიუთითებს, რომ „დოქტორანტები არიან ადრეული ეტაპის მკვლევარები (ESR). ESR აღიარებულ უნდა იქნენ პროფესიონალებად - თანაზომიერი უფლებებით - რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ახალი ცოდნის შექმნაში ". ამდენად, პროგრამა სარგებელს ნახავს მისი მიზნის დაზუსტებით, რომ მოამზადებს მკვლევარებს ნაცვლად "... პროფესიონალებისა ინოვაციური კვლევების ჩატარების უნარით".
თვითშეფასების ანგარიში მიუთითებს, რომ "სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე, კერძოდ, აკადემიურ კონტექსტში (თვითშეფასების ანგარიში, გვ.17). პროგრამის მიზანი უნდა იყოს ორიენტირებული შემდეგზე: „დოქტორანტურის ძირითადი კომპონენტი არის ცოდნის ამაღლება ორიგინალური კვლევის მეშვეობით. ამავდროულად, აღიარებულია, რომ დოქტორანტურა მზარდად უნდა აკმაყოფილებდეს დასაქმების ბაზრის საჭიროებებს, რაც უფრო ფართეა ვიდრე აკადემია“. (ჭყარო: EQUAL-ის სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესის და მენეჯმენტის დოქტორანტურაში :http://equal.network/wp-content/uploads/2016/11/161110-EQUAL_Guidelines_Doctoral.pdf).

თუმცა, აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ პროგრამის აღწერილობაში მითითებულია კურსდამთავრებულის შესაძლებლობა დასაქმებულ იქნეს ბიზნესის სექტორში და/ან სამთავრობო ორგანიზაციებში. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კურსდამთავრებულთა დასაქმების ბაზართან კომუნიკაციის თანამიმდევრულობა. EQUAL-ის სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე, დოქტორანტურის კურსდამთავრებულები უფლებამოსილნი არიან შეასრულონ მკვლევარისა და პედაგოგის როლი აკადემიურ დაწესებულებებში ან განახორციელონ უმაღლესი განათლების სექტორის გარეთ უმაღლესი დონის კვლევითი სამუშაოს შემსრულებლის ფუნქციები. ამგვარად, დასაქმების ბაზრის შეზღუდვა აკადემიური კონტექსტით ხდის პროგრამას ნაკლებად მიმზიდველს მათთვის, ვისაც სურს კარიერის გაგრძელება აკადემიური სექტორის გარეთ. პროგრამის მიზნის აქცენტი უნდა იქნეს გადმოტანილი მკვლევართა მომზადებაზე, რომლებიც შეიტანენ წვლილს მენეჯმენტის მეცნიერებაში და პროფესიის განვითარებაზე, ნაცვლად აქცენტისა თავად *პროფესიონალებზე.* ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრებისას ეს მოსაზრება გაზიარებულ იქნა მათთან, რომ პროგრამის ძირითადი მიზანია საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარება ადრეული ეტაპის მკვლევარებში, რომლებიც შეძლებენ კვლევის განხორციელებას სხვადასხვა ორგანიზაციების სახელით.

მიზანი, ასევე, შესაძლოა უფრო უკეთ შეესაბამებოდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განაცხადს.

".. ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება მეცნიერების წინსვლის და საზოგადოებრივი განვითარებისთვის როგორც ადგილობრივ, ისე **საერთაშორისო დონეზე** და კრიტიკული, ანალიტიკური და ეთიკური პროფესიონალის გათვალისწინება და ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარების ხელის შეწყობა". პროგრამის მიზანში უნდა იყოს მოხსენიებული კვლევის ეთიკა, ისევე, როგორც კვლევის გადაცემა - უფრო აქცენტირებული ახალი ცოდნის შექმნაზე, არა მხოლოდ გამოყენებაზე. ინტერნაციონალიზაციის ასპექტი, ასევე, უნდა იყოს მოხსენიებული.

რეკომენდებულია მისანიჭებელი სამეცნიერო ხარისხის სახელწოდების განმარტება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული დოქტორანტურის ძირითადი მიზანია ახალგაზრდა მკვლევარების მომზადება მენეჯმენტის მეცნიერებაში. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის (DBA) ხარისხმა შესაძლოა მიგვიყვანოს პროგრამის ტიპის გაუგებრობამდე. არსებობს სადოქტორო პროგრამის მიწოდების ორი ნაკადი: როგორც ეს ზევით აღინიშნა - დოქტორის აკადემიური ხარისხი მენეჯმენტის მეცნიერებაში (მაგ. Ph.D.) და პროფესიული პრაქტიკის დოქტორი (მაგ. DBA, აღმასრულებელი ან ინდუსტრიული PhD.). DBA ხარისხი მიენიჭება პროფესიული სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ, რომელიც წარმოადგენს განსხვავებული ტიპის სადოქტორო პროგრამას: პროფესიულ სადოქტორო სწავლას. ტიტული PhD მიენიჭება აკადემიური სწავლის შემდეგ და წარმოადგენს ხარისხს მეცნიერებაში, რომელშიც ენიჭება, ამ შემტხვევაში მენეჯმენტის მეცნიერებაში.

მიზანი, ასევე, უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი ინგლისურადაც: პროგრამის ვებ-გვერდის ლინკის ვერსიად: (**see:**https://iliauni.edu.ge/en/iliauni/AcademicDepartments/biznesis-skola-268/programebi-276/sadoqtoro-595).

ჯგუფმა აღნიშნა, რომ სადოქტორო ნაშრომებიდან ზოგიერთის სათაური დაკავშირებულია კვლევებთან ეკონომიკურ მეცნიერებაში, მაგალითად: "საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუციების გამოწვევები განვითარებადი ქვეყნების მთავრობებთან და ბიზნესი", "ეკონომიკური პოლიტიკის ზეგავლენა და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები კონკურენციაზე საქართველოში" და სხვ. პროგრამების ადმინისტრაციულმა ხელმძღვანელობამ უნდა განასხვავოს ერთმანეთისაგან ეკონომიკური მეცნიერების და მენეჯმენტის მეცნიერების კვლევების პერსპექტივები, დისერტაციის დაცვის შემდეგ მისანიჭებელი ხარისხის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

აქედან გამომდინარე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მკაფიო კომუნიკაცია პოტენციურ სტუდენტებთან პროგრამის ფოკუსის შესახებ. პროგრამის მსვლელობაში კვლევის ინტერესების შეცვლის შეთხვევაში, სტუდენტებს უნდა მიეცეთ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე მობილობის შესაძლებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სადოქტორო პროგრამის აღწერა
- სადოქტორო პროგრამის აღწერა
- შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან

- შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან
- შეხვედრა სტუდენტებთან
- შეხვედრა კურსდამთავრებულებთან
- შეხვედრა მოწვეულ პერსონალთან
- შეხვედრა დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

1. უზრუნველყოს მიზნის უკეთ დაკავშირება უნივერსიტეტის მისიასთან და ინტერნაციონალიზაციის ასპექტების უზრუნველყოფა პროგრამის მიზანში.
2. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კურსდამთავრებულთა დასაქმების ბაზართან კომუნიკაციის თანამიმდევრულობა;
3. დაწესებულებამ ნათლად უნდა განსაზღვროს საერთო ჯამში პროგრამის დანიშნულება. პროგრამის მიზანი უნდა იყოს მაღალკვალიფიციური მკვლევარის მომზადება (და არა მხოლოდ პროფესიონალის) მენეჯმენტის მეცნიერებაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. განიმარტოს პროგრამის მიზანი - მოამზადოს მკვლევარები ნაცვლად "ინოვაციური კვლევების განხორციელების უნარის მქონე პროფესიონალებისა".
2. პროგრამის მიზანი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ილიაუნის ვებ-გვერდის ინგლისურ ვერსიაშიც.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლის შედეგები განსაზღვრულია პროგრამის დონეზე და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თანახმად შეესაბამება უმაღლესი განათლების მესამე ციკლს. თუმცა, პროგრამის დონეზე ძალიან ბევრი (19) სწავლის შედეგია. ზოგიერთი სწავლის შედეგი მეტად ზოგადია და შესაძლებელია მათი დაჯგუფება, რაოდენობის 6-8 მდე შემცირების მიზნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფრაგმენტაცია და შესაძლებელი გახდეს ყველა სწავლის შედეგის შეფასება და გაზომვა. მაგალითად, ცოდნისა და გაცნობიერების სფეროში წარმოდგენილია 3 სწავლის შედეგი: ".. კურსდამთავრებულებს აქვთ ბიზნესის ადმინისტრირების პრობლემური საკითხების თაობაზე უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა; კურსდამთავრებულებს აქვთ პრობლემების/საკითხების კვლევის უახლესი, ინოვაციური, შესაბამისი მეთოდების კომპეტენცია; არსებული ცოდნის ხელახლა გაანალიზებით და ნაწილობრივ გადაფასებით კურსდამთავრებულები შეიცნობენ ახალი ცოდნის გაფართოვებულ ფარგლებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში". სადოქტორო დონეზე ცოდნისა და გაცნობიერების სფეროს ეს სწავლის შედეგები უკეთ უნდა იყოს გამოხატული: ".. კონკრეტული დისციპლინისა თუ კონცენტრაციის ცოდნის საზღვრებში თეორიები და მეთოდების დაუფლება" (იხ. http://equal.network/wp-content/uploads/2016/11/161110-EQUAL_Guidelines_Doctoral.pdf.) იგივე ეხება სწავლის შედეგებს, რომლებიც ასახავენ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, მაგალითად, "მცირე და დიდი აუდიტორიების ეფექტიანი მართვა", რაც არაა აკადემიური სადოქტორო პროგრამის დონე. ეს უფრო მეტადაა დაკავშირებული აკადემიური კურსის დონესთან. სწავლის შედეგები უნდა იყო უფრო მკაფიო და აშკარა, მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტური. ზოგიერთი სწავლის შედეგი, მაგალითად: "კვლევისა და სწავლის პროცესში ეფექტურად მართავს დროს და რესურსებს", უნდა იქნეს განმარტებული ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისათვის, თუ როგორ შეფასდება ეს სწავლის შედეგი. სწავლის შედეგების შეფასების ციკლი: მონაცემთა განსაზღვრა, შეგროვება და ანალიზი მოქმედებს უნივერსიტეტში. შემდეგ პროგრამის დასასრულს მისი სწავლის შედეგები უნდა შეფასდეს და აისახოს ნაშრომის შეფასებაში, რაც არ შედის ექსპერტთა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი სადოქტორო ნაშრომის შეფასების აღწერაში. სადოქტორო ნაშრომის შეფასება ეფუძნება შემდეგ შეფასებებს "ფრიადი (summa cum laude) - საუცხოო ნამუშევარი; ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც ყველა კუთხით აღემატება დადგენილ მოთხოვნებს; კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც აღემატება დადგენილ მოთხოვნებს და ა.შ.". შეფასების კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან, რომელიც ახსნიდა თუ რა ცოდნა და გაცნობიერება უნდა აჩვენოს სტუდენტმა ნაშრომში, არ არის წარმოდგენილი. იგივე ეხება სხვა სწავლის შედეგების შეფასებასაც. პროგრამის დონეზე სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირებით

მათი შეფასების შედეგები უკეთ იქნება გამოყენებული თავად პროგრამის გაუმჯობესებისათვის. პროგრამის აკადემიური პერსონალი კარგად იცნობს სწავლის შედეგების კონცეფციას, მაგრამ ესაჭიროება შემდგომი ტრენინგი როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის შედეგების ეფექტური შეფასება და მისი შედეგების გამოყენება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • სადოქტორო პროგრამის აღწერა • შეხვედრა პროგრამის ადმინისტრაციასთან • შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან • შეხვედრა მოწვეულ პერსონალთან • შეხვედრა სტუდენტებთან • შეხვედრა კურსდამთავრებულებთან • შეხვედრა დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: 1. უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის შედეგების შესაბამისობა აკადემიური სადოქტორო პროგრამის მიზანთან; 2. შემცირდეს სწავლის შედეგების რაოდენობა როგორც პროგრამის, ისე კურსების დონეზე; 3. შემუშავდეს სწავლის შედეგები სადოქტორო ნაშრომისათვის; 4. უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტიანი და ეფექტური შეფასების ციკლი და სტუდენტებისათვის გამოხმაურების მიწოდება სწავლაში მათი მიღწევების შესახებ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის სკოლას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების რელევანტური, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები. კერძოდ, დოქტორანტი შესაძლოა გახდეს პირი, რომელსაც მაგისტრის ხარისხი ან ეკვივალენტური ხარისხი ეკონომიკაში, ბიზნესის ადმინისტრირებაში და სხვა მაგისტრის ხარისხი ან მაგისტრის ეკვივალენტური ხარისხი. იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელს აქვს მაგისტრის ხარისხი ან ეკვივალენტური სხვა სფეროში, მას უნდა ჰქონდეს ბიზნესში მუშაობის 7-წლიანი გამოცდილება ან ჩაბარებული ჰქონდეს GMAT (მინიმუმ 550 ქულა). განმცხადებელმა უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა C1 დონეზე. მიმღები კომისიის წევრები დამტკიცებულნი არიან ბიზნესის სკოლის ფაკულტეტის საბჭოს მიერ და პროგრამის კოორდინატორი აფასებს განმცხადებლის მონაცემებს პროგრამაზე დაშვების წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საკმაოდ მკაცრია. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაზე ცარიცხვის მსურველთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა გასულ წელს (18 ადამიანი 4 ადგილზე). ამჟამად პროგრამაზე 9 აქტიური სტუდენტია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის პროცედურები და შეფასების სისტემა;
- ილიაუნის ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭო და სადოქტორო პროგრამის დებულება
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი
- შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- შეხვედრა სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

2011 წლის აკრედიტაციის შემდეგ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეიცვალა და დაემატა: იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელს აქვს მაგისტრის ხარისხი ან ეკვივალენტური სხვა სფეროში, მას უნდა ჰქონდეს ბიზნესში მუშაობის 7-წლიანი გამოცდილება ან ჩაბარებული ჰქონდეს GMAT (მინიმუმ 550 ქულა). სხვა მიმართულებებში სამაგისტრო ან ეკვივალენტური ხარისხის შემთხვევაში პრეტენდენტის 7-წლიანი სამენეჯერო გამოცდილების ან GMAT-ის მოთხოვნა (მინიმუმ 550 ქულით);

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ძირითადად შემუშავებულია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, რატიფიკაციის, ცვლილებების შეტანის, შეწყვეტის წესები და პროცედურები, რომელიც მოიცავს პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვის ძირითად პრინციპებს და მათთან დაკავშირებულ ყველა პროცესებს. პროგრამა, ასევე, ემყარება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის უნივერსიტეტში შემუშავებულ სტანდარტებს. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად "სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს". სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი მოიცავს მხოლოდ 174 კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის 174 კრედიტი განაწილებულია სასწავლო და კვლევით კომპონენტებზე. სასწავლო კომპონენტი შედგება 54 კრედიტისაგან, ხოლო კვლევითი კომპონენტი კი 120 კრედიტისაგან. ამგვარად, არსებული სასწავლო გეგმის შესრულებით დოქტორის ხარისხის მინიჭება ამ რაოდენობის კრედიტების მქონე კურსდამთავრებულისათვის შეუძლებელია. ამისათვის, საჭიროა 6 კრედიტის დამატება სასწავლო ან კვლევითი კომპონენტისათვის.

თუმცა, როგორც პროგრამაშია აღნიშნული, ასისტირებისა და კვლევითი სემინარის კომპონენტებზე განაწილებულია მინიმუმ 12-12 კრედიტი და მათი მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება დოქტორანტის საკუთარი მოთხოვნების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესაძლოა შეფასდეს ნაწილობრივ ლოგიკურად, რადგან სტუდენტები ჯერ ატარებენ სადოქტორო სემინარებს, ხოლო კვლევის მეთოდების არჩევით კურსს იწყებენ მხოლოდ მე-4 სემესტრში. სტუდენტებს შეუძლიათ სამი არჩევითი კურსიდან ერთის არჩევა: "დროითი მწკრივების მონაცემების ანალიზი EViews-ში“, „ხარისხობრივი მონაცემების ანალიზი Nvivo პროგრამით“, „პანელური მონაცემების ანალიზი EViews-ში“. ექსპერტთა ჯგუფის შეხედულებით, სტუდენტებმა ჯერ უნდა გაიარონ მეთოდოლოგიური კურსები და კვლევითი კომპონენტის კურსები (სადოქტორო სემინარი 1 და 2) მხოლოდ ამის შემდეგ. ან, უკეთესი იქნებოდა სტუდენტებისათვის ჯერ სავალდებულო კურსის შეთავაზება კვლევის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მეთოდებზე, ხოლო შემდეგ არჩევითი კურსისა კვლევის მეთოდებზე კომპიუტერული პროგრამით.

პროგრამის სილაბუსებში პროგრამის ხანგრძლივობა არაა მკაფიოდ განსაზღვრული. საგანმანათლებლო პროგრამის სვეტში: "პროგრამის ხანგრძლივობა, სემესტრი, კრედიტების რაოდენობა" მითითებულია 3-5 წელი (6-10 სემესტრი) 180 კრედიტი". ინტერვიუების განმავლობაში, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო მკაფიო პასუხი პროგრამის ხანგრძლივობის და სემესტრების მიხედვით კრედიტების განაწილების თაობაზე. ამგვარად, პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა განსაზღვრონ პროგრამის ხანგრძლივობა და შემდეგ სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განაწილება სემესტრების წინაპირობების შესაბამისად.

წინამდებარე მსჯელობის შესაბამისად, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს პროგრამის საგანმანათლებლო მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის პირობებს. გარდა ამისა, პროგრამის შინაარსი და სწავლის შედეგები

მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელებთან ● ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი ● პროგრამის სასწავლო კომპონენტის სილაბუსები/კონცეფციები ● სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია
რეკომენდაციები: 1. სასწავლო პროგრამას უნდა დაემატოს 6-კრედიტიანი აკადემიური კურსი იმისათვის, რომ საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების რაოდენობა დაემთხვეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ უმაღლესი განათლების მესამე ციკლისათვის დადგენილ კრედიტების რაოდენობას; 2. იმისათვის, რომ პროგრამა გახდეს თანამიმდევრული და ლოგიკური, პირველ სემესტრში კურსი „კვლევის მეთოდოლოგია“ უნდა იქნეს შეთავაზებული „სადოქტორო სემინარი 1“-ის წინაპირობად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: 1. შეთავაზებულ იქნეს თანამედროვე მენეჯმენტის კვლევის კურსი.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში o მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ყველა კურსის სწავლის შედეგები ძირითადად ემთხვევა სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგებს. ყველა აკადემიური კურსის კრედიტების რაოდენობა ემთხვევა აკადემიური კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა, სწავლის შედეგები პროგრამის დონეზე არ ემთხვევა შეთავაზებული კურსებისა. კერძოდ, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამონათვალი საკმაოდ გრძელია (19 სწავლის შედეგი), ზოგიერთი კურსის სწავლის შედეგები არაა ჩამოთვლილი სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგებში. მაგალითად, "დროითი მწკრივების მონაცემების ანალიზი EViews-ში“, „ხარისხობრივი მონაცემების ანალიზი Nvivo პროგრამით“, „პანელური მონაცემების ანალიზი EViews-ში“, "უმაღლეს განათლებაში კურიკულუმის შემუშავების და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები". ქედან გამომდინარე, სწავლის შედეგების რუკა არ არის სათანადოდ შედგენილი. თითოეული სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შინაარსი, მოცულობა და დატვირთვა განსაზღვრავს კრედიტების რაოდენობას და ხდის კომპონენტის სწავლის შედეგებს უფრო მიღწევადს. კორელაცია საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს შორის ადეკვატურია და განიხილავს კურსის/კომპონენტის ხასიათს და კურსის/კომპონენტის მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შესაფერისი სწავლება-სწავლის მეთოდები გათვალისწინებულია კურსებში/კომპონენტებში შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსების სასწავლო მასალა ძარითადად ეფუძნება სფეროს უახლეს მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მიუხედავად ამისა, სასწავლო კომპონენტის ზოგიერთი კურსის სილაბუსში მითითებული ლიტერატურა მოძველებულია. მაგალითად, 2005-2009 წლის პუბლიკაციები უნდა გადაიხედოს და განახლდეს .
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან ● შეხვედრა მოწვეულ პერსონალთან ● სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი ● სასწავლო კომპონენტების სილაბუსები/კონცეფციები
რეკომენდაციები: 1. უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიერ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან; 2. ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა კურსებისა: "დროითი მწკრივების მონაცემების ანალიზი EViews-ში“

„ხარისხობრივი მონაცემების ანალიზი Nvivo პროგრამით“, „პანელური მონაცემების ანალიზი EViews-ში“
უნდა განახლდეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- o მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას ან/და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა აქცენტირებულია დოქტორანტის სამეცნიერო/კვლევითი/პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. უნარების განვითარება განიხილება სპეციფიკური პროექტის/ამოცანის შესრულების დახმარებითა და კვლევის ჩატარებით სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას. მაგალითად, კვლევითი მეთოდების კურსების ფარგლებში დოქტორანტები ახარისხებენ, აანალიზებენ და ანიჭებენ კოდებს სფეროშო მოპოვებულ მონაცემებს.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ფარგლებში, ისინი, ასევე, სადოქტორო კვლევის პროექტის მსვლელობაში მოგროვებული მონაცემების საფუძველზე აკეთებენ სამეცნიერო პუბლიკაციას. ასისტირების პროცესში დოქტორანტები იძენენ სწავლების, შეფასებისა და სამეცნიერო კვლევების ხელმძღვანელობის პრაქტიკულ უნარებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან

- შეხვედრა სტუდენტებთან
- შეხვედრა კურსდამთავრებულებთან
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კომპონენტების სილაბუსები/კონცეფციები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის შესაფერისი სწავლება-სწავლის მეთოდებია შერჩეული. ისინი ემთხვევა აკადემიური კურსის შინაარსს, მიზნებს და ხდის კურსის სწავლის შედეგებს მიღწევადს. გარდა ამისა, აკადემიურ კურსებში გამოყენებულია იმგვარი შეფასების მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები, რომლებიც შეესაბამება სწავლის შედეგებს ან სწავლის კომპეტენციას. კერძოდ, წერითი და ზეპირი მეთოდები, დემონსტრირების მეთოდი, გონებრივი იერიში, დისკუსია-დებატები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, კაზუსის ამოხსნა, მოდელირება/სიმულაცია. ასახვა,

ურთიერთშეფასება, ლაბორატორიაში პრაქტიკული მუშაობის მეთოდი გამოიყენება სწავლება-სწავლის პროცესში. პროგრამის ყველა კომპონენტში გამოიყენება განსხვავებული სწავლის მეთოდები, რომლებიც მითითებულია შესაბამისი სილაბუსის კონცეფციის დოკუმენტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • შეხვედრა სტუდენტებთან • ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი • პროგრამის სილაბუსები/კონცეფციები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტის შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კურსებზე დარეგისტრირებისას სასწავლო პროცესის ელექტრონული მენეჯმენტის სისტემის "არგუსის" მეშვეობით, დოქტორანტს შეუძლია გაეცნოს სილაბუსებს და შეფასების ძირითად კომპონენტებსა და კრიტერიუმებს. სტუდენტი ფასდება წინასწარ განსაზღვრული პროცედურით, რომელიც მკაფიოა და შეესაბამება კანონმდებლობას. კერძოდ, შფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და საბოლოო შეფასებას, რაც ეხმარება დოქტორანტს საკუთარი ცოდნისა და უნარების პერიოდულად შეფასებაში და კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაში. გარდა ამისა, სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა განსაზღვრულია კომპონენტის სპეციფიკის, შინაარსის, მიზნის და ზოგ შემთხვევაში დოქტორანტის კვლევის საგნის მიხედვით და მოიცავს კომპონენტის შესაბამის შეფასების მეთოდებსა და მკაფიო კრიტერიუმებს. უნდა აღინიშნოს, რომ სადოქტორო ნაშრომის კომპონენტის ფარგლებში სტუდენტი უნდა შეფასდეს რამდენიმე შემფასებლის მიერ.

საგანმანათლებლო პროცესის მსვლელობაში, დოქტორანტი იღებს აკადემიური პერსონალისაგან გამოხმაურებას მისი მიღწევებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობების შესახებ. ელექტრონული სისტემა "არგუსი" გამოიყენება ამ მიზნებში, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს და ლექტორს იქონიონ მუდმივი კომუნიკაცია ერთმანეთთან. გარდა ამისა, დაწესებულია ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები (როგორც ლექტორთან, ისე ხელმძღვანელთან), რაც სემესტრის დასაწყისში წინასწარაა შეთანხმებული სტუდენტთან. არა მარტო ეს, თითოეული კომპონენტის ფარგლებში შუალედური შეფასების შემდეგ, თითოეული დოქტორანტი იღებს გამოხმაურებას ლექტორისაგან მისი ნამუშევრისათვის მიცემული შეფასების თაობაზე. აუცილებლობის შემთხვევაში, აქტიური სტუდენტის შეფასების წესი აძლევს მას შეფასების აპელაციის შანსს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან

- შეხვედრა სტუდენტებთან
- შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი/სილაბუსები
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა: "არგუსი" *www.argus.iliauni.edu.ge*
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის განსაზღვრის, კრედიტების მინიჭების, რეიტინგის და დამატებითი კურსების/კომპონენტების წესი, პროგრამის შეფასების კრიტერიუმები.
- *ERASMUS+ CBHE პროექტები: უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციებში ახალი სასწავლო გარემოს შეფასების ინსტრუმენტები ("ASSET"); ცვლილებები საკლასო ოთახში:* ინოვაციური სწავლებისა და სწავლის ხელშეწყობა სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში ("PRINTeL"); აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლებისა და სწავლისათვის საქართველოს უსდ-ებში ("INTEGRITY").

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: 1. ნაშრომის (120 კრედიტი) სწავლის შედეგების ფორმულირება, შფასების სხვადასხვა დონის ახსნის უზრუნველსაყოფად
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს სტუდენტებისთვის შესაბამისი მომსახურების შეთავაზებით; პროგრამის პერსონალი სტუდენტებს აცნობს დასახელებულ მომსახურებებს, აწყობს სხვადასხვა ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტები და კურსდამთავრებულები კმაყოფილები არიან უნივერსიტეტის კომუნიკაციის ეფექტიანობით, ასევე, აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტი აგრძელებს სხვადასხვა სახის კითხვარების გავრცელებას სასწავლო პროცესის მენეჯმენტის სისტემა "არგუსით", სადაც მათ აქვთ მონაწილეობისა და საკუთარი მოსაზრების გამოხატვის შესაძლებლობა. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობა თვითშეფასების ჯგუფში ეფუძნებოდა კვლევას, რომელიც გაიგზავნა "არგუსით". ასევე გამოირკვა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი აქტიურადაა ჩართული სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებაში და სტუდენტთა კმაყოფილება მაღალია, როგორც ეს გამოვლინდა უნივერსიტეტში არსებული კვლევებით. კვლევების პოპულარიზაციის ხელშეწყობისათვის ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები: გარე ფინანსირების მიღებაზე მოთხოვნის წარდგენა, კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება, უნივერსიტეტებს შორის გამოცდილების გაცვლა პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში და კვლევებში და ასევე, მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მობილობაში. უნივერსიტეტს გააჩნია სისტემა Moodle, რომელიც ამოწმებს პლაგიატს რაც ერთ-ერთი გზაა პლაგიატის პრევენციისა და სადისერტაციო ნაშრომების ხარისხის უზრუნველყოფისაკენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● თვითშეფასების ანგარიში ● სადოქტორო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება" ● შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ● შეხვედრა სტუდენტებთან ● შეხვედრა კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ყველა დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და თუ საჭიროა, ერთზე მეტი, რომელთაც აქვთ ნაშრომის თემის რელევანტური სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. სტუდენტები კმაყოფილები არიან კვალიფიციური ხელმძღვანელებით. ისინი აღნიშნავენ, რომ არსებობს ხელმძღვანელებიდან კონსულტაციისა და დახმარების მიღების შესაძლებლობები. სტუდენტებს აქვთ უცხოელი თანა-ხელმძღვანელების ყოლის შესაძლებლობა. კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ისინი კმაყოფილები არიან უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული მომსახურებებით.

ხელმძღვანელები რეგულარულად უტარებენ კონსულტაციებს დოქტორანტებს, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ კონსულტაციები და შეხვედრები საკმარისია მათი კვლევითი სამუშაოსათვის. როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, თანა-ხელმძღვანელების არსებობა უზრუნველყოფს ხელმძღვანელების განსხვავებულ კომპეტენციებს, რაც აუცილებელია კვლევის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელების უფლებებსა და მოვალეობებს და ხელმძღვანელობის პროცესს „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო პროგრამის რეგულაციებით“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სადოქტორო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება"

• შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან • შეხვედრა სტუდენტებთან • შეხვედრა კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე,სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ის უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ადმინისტრციასთან და სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამას ჰყავს სამი ხელმძღვანელი, რომელთა ფუნქციები და ვალდებულებები არაა მკაფიოდ განსაზღვრული. ინტერვიუს მსვლელობაში მათ ვერ მოიყვანეს მტკიცე არგუმენტი სამი ხელმძღვანელის არსებობის საჭიროების შესახებ. მათ თქვეს, რომ ერთი პასუხისმგებელია მენეჯმენტზე, მეორე ფინანსებსა და აღრიცხვაზე. მაგრამ, მათ ვერ მოგვცეს მკაფიო პასუხები თუ როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს, აქვთ თუ არა ერთმანეთთან ოფიციალური ურთიერთობა (რეგულარული შეხვედრები, გადაწყვეტილების მიღება და სხვ.). მათი აზრით, ისინი პასუხისმგებელნი არიან პროგრამის განვითარებაზე და არიან მედიატორები ფაკულტეტის საბჭოსთან. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე მხოლოდ 9 აქტიური სტუდენტია, პროგრამის ადმინისტრირება გამოიყურება მეტად ბიურიკრატულად,

ეს არაა ჩვეული საერთაშორისო პრაქტიკა, რომელიც, როგორც წესი, ემყარება აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან თანამშრომლობაში პროგრამის განვითარებაზე ერთიანი პასუხისმგებელობის მქონე პირის არსებობას. ამის გამო, არსებობს პროგრამის ადმინისტრირების გადახედვის საჭიროება, პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნით, რომელიც აიღებს სრულ პასუხისმგებლობას პროგრამის განვითარებაზე. იმ შემთხვევაში, თუ არის პროგრამის სამი ხელმძღვანელი - მათი ფუნქციები და პასუხისმგებლობა მკაფიოდ უნდა იყოს განაწილებული. თუმცა, სასწავლო პროგრამის ერთი ხელმძღვანელის არსებობა, რომელიც აიღებდა სრულ პასუხისმგებელობას პროგრამის განვითარებაზე, იქნებოდა უფრო გონივრული.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ყველა აკადემიურ პერსონალს აქვს ადეკვატური აკადემიური ხარისხი და სფეროს პრაქტიკული გამოცდილება, წარმოადგენენ პროფესიონალებს, რაც საბუთდება მათი ბიოგრაფიებითა და პუბლიკაციებით.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 14 აკადემიური პერსონალი. სამი მათგანი პროფესორია და 11 - ასოცირებული პროფესორი. პროგრამაში არ არის მოწვეული პერსონალი.

ბიზნესის სკოლას გააჩნია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა ყოველი სემესტრისათვის, რაც ასახავს მათ სასწავლო დატვირთვას. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული რეგულაციის თანახმად, ბიზნესის სკოლას აკადემიური პერსონალისათვის დადგენილი აქვს კვლევისა და განათლების შეფასების საკუთარი მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის წლიურ პასუხისმგებლობას მათ კვლევით და აკადემიურ აქტივობასთან დაკავშირებით.

შეხვედრებისას მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს პოტენციურ სადოქტორო ნეშრომების მიმომხილველების შერჩევისა და ჩამონათვლის მომზადების საჭიროება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ნაშრომის მიმოხილვისა და დისერტაციის დაცვის შეუფერხებელი პროცესი. კურსდამთავრებულებთან შეხვედრის პროცესში აღნიშნულ იყო, რომ სადისერტაციო ნაშრომისათვის სათანადო მიმომხილველთა მოძიებას დასჭირდა საკმაოდ დიდი დრო.

პროგრამის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია ბიზნესის სკოლა. სკოლის დეკანი, დეკანის მოადგილე, მისი ასისტენტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კურიკულუმის ექსპერტები, სტუდენტთა კოორდინირებისა და ბიზნესთან ურთიერთობების სამსახური და კარიერის დაგეგმვის ცენტრი - წარმოადგენენ სკოლის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს. სტუდენტთა სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ფუნქციონირებს დოქტორანტებთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც რჩევებს აძლევს სტუდენტებს სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან და პროგრესთან დაკავშირებით და აწვდის მათ რელევანტურ რეკომენდაციებსა და რჩევებს. დამატებით, სტუდენტთა კონსულტაციებს უზრუნველლყოფენ სკოლის ხარისხის განვითარების დეპარტამენტის სპეციალისტები-კურიკულუმის ექსპერტები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავენ ინდივიდუალურ საგანამანთლებლო გეგმებს სტუდენტებისათვის და დახმარებას უწევენ თითეულ მათგანს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან
- შეხვედრა სტუდენტებთან
- შეხვედრა კურსდამთავრებულებთან

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და მოქმედი ხელშეკრულებები, რომლებიც ხელმისაწვდომია ადამიანური რესურსების დეპარტამენტში.
- ილიას სახელმწიფოუნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია.
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის ცხრილები, რომლებიც ხელმისაწვდომია ბიზნესის სკოლის ადმინისტრაციაში.
- აკადემიური პერსონალის რაოდენობის შეფარდება დოქტორანტთა რაოდენობასთან.
- აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულებების ნიმუში.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- ბიზნესის სკოლის წესდება, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელის უფლებებსა და მოვალეობებს;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის განხორციელების შეფასების რეგულაცია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირების და შეწყვეტის რეგულირებები და პროცედურები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები და მოქმედი შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც ხელმისაწვდომია ადამიანური რესურსების დეპარტამენტში;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პოზიციების დასაკავებელი კონკურსის ჩატარებისა და დასაქმების პირობების რეგულაციები;
- გამოცხადებული კონკურსები;
- ვაკანსიების რეკლამირებისათვის გაგზავნილი აპლოკაციები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. დაინიშნოს პროგრამაზე სრული პასუხისმგებლობის მქონე პირი;
2. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის შეუფერხებელი პროცესის უზრუნველსაყოფად მოზიდულ და შერჩეულ იქნეს მეტი ოპონენტი.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მოქმედებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასების წესი, რომელიც მოიცავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. კერძოდ, ეს მექანიზმი ითვალისწინებს კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული აქტივობების შეფასებას, ხოლო შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის პროფესიული განვითარების, წახალისებისა და დაწინაურებისათვის.

შესრულებული სამუშაოს შეფასება უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური წვლილის განსაზღვრას უნივერსიტეტის საქმიანობაში ფორმალური და სისტემური მიდგომით, სწავლების, სწავლისა და კვლევის პროცესების, განვითარების მუდმივი პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

პროგრამაში ჩართული პერსონალის კმაყოფილების შესწავლა უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული მომსახურებების თაობაზე წარმოებს პერიოდულად. აღნიშნული კვლევების შედეგებით იდენტიფიცირებული საჭიროებები გახდა პროფესიული ტრენინგის მოდელის შექმნის საფუძველი, რომელიც დაკავშირებულია ისეთი შეფასების მეთოდებთან, სწავლებასთან, სწავლასთან და ისეთი რესურსების გამოყენებასთან, როგორიცაა ერაზმუს+ პროექტები.

გარდა ამისა, პროგრამის აკადემიური პერსონალის განვითარების ხელშეწყობისათვის ისინი უზრუნველყოფილი არიან სხვადასხვა პროექტებით, კვლევებით, ადგილობრივი/საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით. უნივერსიტეტი, ასევე,

ერაზმუს+ის ფარგლებში ეხმარება აკადემიურ პერსონალს აკადემიურ მობილობაში. ეს მოიცავს მონაწილეობას კონფერენციებში/სემინარებში/რამდენიმე კვირიან ლექციებს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის აკადემიური პერსონალის (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები, ასისტენტები) საქმიანობის შეფასების რეგულაცია.
- *ERASMUS+ CBHE პროექტები: უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციებში ახალი სასწავლო გარემოს შეფასების ინსტრუმენტები ("ASSET"); ცვლილებები საკლასო ოთახში: ინოვაციური სწავლებისა და სწავლის ხელშეწყობა სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ("PRINTeL"), საქართველოს უსდ-ებში აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლებისა და სწავლისათვის ("INTEGRITY").*

რეკომენდაციები:

1. უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური პერსონალის ტრენინგი რეგულარულ საფუძველზე პროგრამის სწავლის შედეგებსა და მათ მიღწევაში, საკითხების გაზომვა/შეფასებაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსები
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო გარემოს. აუდიტორიები აღჭურვილია ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერებით და პროექტორებით. სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან კომპიუტერული სიმძლავრეებითა და საბიბლიოთეკო ფართით. უნივერსიტეტის შენობაში მოქმედებს უფასო Wi-Fi. დღის საათებში სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტის ტერიტორიით, ბიბლიოთეკითა და აუდიტორიებით დამოუკიდებელი მუშაობისათვის. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კაფეც. გარდა ამისა, აქ არის პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ისეთი დამატებითი რესურსები, როგორიცაა აკადემიური წერის ცენტრი, კომპიუტერული ლაბორატორიები/პროგრამები (NVivo 10; EViews), Moodle, Turnitin, Argus, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული ბაზები - Science Direct, Scopus, Clarivete Analytics (ყოფილი Thomson Reuters), ProQuest, EBSCO; Cambridge Journals, Oxford Journals, Emerald, და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროცესის ელექტრონული მენეჯმენტის სისტემა "არგუსი" http://argus.iliauni.edu.ge/ • უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო მონაცემთა ბაზები: *http://library.iliauni.edu.ge/* • ელექტრონული სასწავლო პორტალი: *http://moodle.iliauni.edu.ge/* • Turnitin-ის მომსახურების ლიცენზიის გადაცემის ხელშეკრულება • დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საკუთრებას და მატერიალური რესურსების მომსახურებას.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების განაწილება ეკონომიკურად მისაღებია და შეესაბამება სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებს. პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს ეძლევა, ასევე, დამატებითი ფინანსირება კვლევითი პროექტებისათვის, კერძოდ, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტები ფუნდამენტური კვლევებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევის კონკურსის შედეგები ● საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

o მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

როგორც ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრებიდან გაირკვა, პროგრამის პერსონალი პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვაში თანამშრომლობს უნივერსიტეტისა და ბიზნესის სკოლის დონეზე არსებულ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან. მაგრამ, ეს შესაძლოა გაკეთდეს უფრო სისტემურ და სისტემატურ დონეზე. თუმცა არსებობს საჭიროება, რომ ეს გამოცდილება გაზიარებულ იქნეს უფრო სტრუქტურირებული გზით, იგულისხმება ოფიციალური გზა, რაც დაეხმარება პროგრამას გაუმჯობესებაში. პროგრამის ადმინისტრირების რეორგანიზაცია, პროგრამაზე პასუხისმგებელი ერთი პირის დანიშვნით სამი ხელმძღვანელის ნაცვლად, უფრო მაღალ დონეზე აიყვანს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას.

სტუდენტებს სთხოვეს გამოეთქვათ მოსაზრება პროგრამის ხარისხთან დაკავშირებით, თუმცა სტუდენტთა წარმომადგენელი არ იყო თვითშეფასების ჯგუფის წევრი.

უსდ-ში დადგენილია ხარისხის პროცედურები და რეგულაციები საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირებისა და შეწყვეტის შესახებ.

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის მართვა იმგვარად უნდა იქნეს აწყობილი, რომ უზრუნველყოფდეს პროგრამის ხარისხს, დაწყებული პროგრამის მიზნის ნათლად განსაზღვრიდან, მკაფიო და გაზომვადი სწავლის შედეგებამდე. უნდა უზრუნველყოფდეს, სწავლის შეფასების ციკლის ეფექტურად და ეფექტიანად განხორციელებას და შედეგების გამოიყენებას პროგრამის განვითარებისათვის. სადოქტორო პროგრამა მიზნად უნდა ისახავდეს ანალიტიკურად მტკიცე, ინოვაციური და სადაც შესაძლებელია, პრაქტიკულად რელევანტური კვლევის შედეგების მიღწევას, რათა მუშაობა მიმდინარეობდეს საერთაშორისო კვლევის კონტექსტის ფარგლებში და ახდენდეს კულტურათაშორის გარემოში ფუნქციონირების უნარის დემონსტრირებას და სხვ. ვიზიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებებისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ პროგრამის ხარისხის საჭირო დონის მისაღწევად არსებობს უფრო მტკიცე ძალისხმევის საჭიროება ხარისხის უზრუნველყოფის ადმინისტრირების პერსონალისა და პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მხრიდან. სადოქტორო პროგრამის სადოქტორო სკოლაში ორგანიზების შესაძლებლობების საკითხი განხილულ უნდა იქნეს პასუხისმგებელი პერსონალის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერილობა
- შეხვედრა დამსაქმებლებთან
- შეხვედრა სტუდენტებთან
- შეხვედრა კურსდამთავრებულებთან
- შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

1. შიდა ხარისხის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უფრო სისტემურ და სისტემატურ დონეზე, თუმცა არსებობს საჭიროება, რომ ეს გამოცდილება გაზიარებულ იქნეს უფრო სტრუქტურირებული გზით, რაც დაეხმარება პროგრამას გაუმჯობესებაში.
2. ჩაუტერდეს ტრენინგი ადმინისტრაციულ პერსონალს უმაღლეს განათლებაში უახლეს კონცეფციებთან და შიდა ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებზე, რათა გაუმჯობესდეს ხარისხი და მისი შედეგების მონიტორინგი;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. შეყვანილ იქნეს სტუდენტთა წარმომადგენელი თვითშეფასების ჯგუფში.
2. შემუშავდეს პროგრამის განვითარების გეგმა მკაფიო მიზნების გარშემო SMART მიდგომის საფუძველზე, რათა შესაძლებელი გახდეს პროგრესის გაზომვა.
3. სადოქტორო პროგრამის სადოქტორო სკოლაში ორგანიზების შესაძლებლობების საკითხი განხილულ უნდა იქნეს პასუხისმგებელი პერსონალის მიერ.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი

პროგრამა იყენებს მისი მონიტორინგის შედეგებს. თუმცა იმის გამო, რომ პროგრამა არაა მკაფიოდ პოზიციონირებული, პროგრამის მონიტორინგი არ იძლევა საჭირო დონის გარე ხარისხის შედეგებს. მაგალითად, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, სტრუქტურა და შინაარსი, სტუდენტის მიერ შერჩეული კვლევის თემა, რომელიც გაანალიზებულ იქნა გარე პარტნიორების ჩართულობით უნდა იქნეს მოყვანილი ბიზნესისა და მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამებისადმი საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

გარე პარტნიორების წარმომადგენელთა (ან მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლის) ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფში წევრის პოზიციაზე იქნებოდა დიდი დახმარება ზემოაღნიშნული საკითხების დარეგულირებაში. ეს შესაძლოა მიღწეულ იქნეს, ასევე, პროგრამის მკაფიო ადმინისტრაციული სტრუქტურის მეშვეობით - ერთი პირის დანიშვნით, რომელიც აიღებდა მთელ პასუხისმგებლობას პროგრამაზე და მის განვიტარებაზე. სამუშაოა ჩასატარებელი, ასევე, საერთაშორისო კვლევითი კონტექსტის უზრუნველსაყოფად, რითაც მოხდებოდა კულტურათაშორის გარემოში ფუნქციონირების უნარის დემონსტრირება. ჯერჯერობით არ არსებობს სასწავლო პროცესში ჩართული საერთაშორისო აკადემიური/მოწვეული პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერილობა
- შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- შეხვედრა თვითშეფასების ჯგუფთან
- შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელებთან
- შეხვედრა კურსდამთავრებულებთან
- შეხვედრა დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

1. უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სამომავლო ინტერნაციონალიზაცია იმისათვის რომ დადასტურდეს კროს-კულტურულ გარემოში მუშაობის შესაძლებლობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

2. გარე პარტნიორთა წარმომადგენლების (ან მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლის) ჩართულობის უზრუნველსაყოფა თვითშეფასების ჯგუფის წევრად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მრჩეველთა საბჭო შედგება ბიზნესის სკოლაში არსებული თანამედროვე ბიზნესის გარემოს კვალიფიციური და მოწინავე ექსპერტებისაგან, რომლებიც ამუშავებენ რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებთან, მოდულებთან,

შედეგებთან დაკავშირებით და აღნიშნული რეკომენდაციები კეთდება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის გაზრდის მიზნით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან o √მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან o ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან o ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა ხორციელდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატურად მოგროვებისა და ანალიზის მეშვეობით. პროგრამის შედეგების მონიტორინგისათვის არსებობს სისტემური კვლევა. კვლევის შედეგებს იძლევა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა თვითშეფასების ანგარიშის დასკვნა იმის შესახებ, რომ პროგრამის შეფასების პროცესში არის უცხოელ ექსპერტთა და პოტენციურ დამსაქმებელთა ჩართვის საჭიროება. პროგრამის განვიტარების ახალი პერსპექტივების განსახილველად შეფასება უნდა გავხადოთ უფრო მნიშვნელოვნი; იგი უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერდ სადოქტორო პროგრამებისათვის დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, არამედ ბიზნესისა და მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამების მიმართ საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისადაც, რომელიც ეფუძნება EQUAL-ის პრაქტიკულ რეკომენდაციებს. პროგრამის შეფასებისა და ხარისხის მონიტორინგის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად არსებობს პროგრამის განვითარების მიზნებისა და დაკავშირებული სამოქმედო გეგმის შემუშავების საჭიროება.

პროგრამის შეფასებისა და ხარისხის მონიტორინგისათვის საჭიროა სამიზნე ნიშნულების გამოყენება მენეჯმენტის ინსტრუმენტად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: 1. პროგრამის შეფასებისა და ხარისხის მონიტორინგის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად შემუშავდეს პროგრამის განვითარების მიზნები და დაკავშირებული სამოქმედო გეგმა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: 1. პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული მიმოხილვის უზრუნველყოფა ბიზნესისა და მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე; 2. პროგრამის შეფასებისა და ხარისხის მონიტორინგისათვის განხილულ იქნეს სამიზნე ნიშნულების გამოყენება მენეჯმენტის ინსტრუმენტად. 3. პროგრამის შეფასების პროცესში უცხოელ ექსპერტთა მონაწილეობის უზრუნველყოფა;
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტთან პროგრამის შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1 . საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ტატიანა ვოლკოვას

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

სალომე მელაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

გოჩა თუთბერიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა